25 აგვისტო. (ხაკდესი). „ამერიკის შეერთებული შტატების ბომბები ანგრევენ საავადმყოფოებს, სკოლებს, ეკლესიებს. ისინი ზოცავენ მოხუცებს, ქალებს ბავშვებს. ჩვენ ვამბობთ, თითქოს გამოგვყავს იქიდან ჯარისკაცები და ვკვეცავთ ომს, ამავე დროს განვაგრძობთ დაბომბვას. მაგრამ დაბომბვით ვერ დავამორჩილებთ ხალხს“.

წერს ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი იუსტიციის მინისტრი რ. კლარკი სტატიაში „რა ვნახე და რა მოვისმინე ჩრდილოეთ ვიეტნამში“, რომელიც ჟურნალ „ლიფშიცა“ გამოქვეყნებული.

კლარკი ამას წინათ იყო ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო დანაშაულთა გამოძიების საერთაშორისო კომისიის შემადგენლობაში და შემდეგ ამერიკელებს უამბო სიმართლე ბარბაროსული დაბომბვების შესახებ. ამის გამო ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წერილობითი ბრძანება გაუგზავნა კლარკს დევნა, დითქმის ღალატიც კი დააბრალეს.

ჩრდილოეთ ვიეტნამში მე ვნახე ნგრევა სოფლებსა და ქალაქებში. ვნახე დაზიანებული ეკლესიები, რაბები. საავადმყოფოები და ეკლესიები, წერს კლარკი. და ეს მხოლოდ დაზიანებათა მცირე ნაწილია რაიონებში, რომლებსაც ვეწვეთ. გაცილებით მძიმე ნგრევა ეკა ქვეყნის სამხრეთ ნაწილში.

ჰაიფონში, წერს კლარკი, განმიცხადეს, რომ 16 აპრილიდან, როცა განახლდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მასირებული დაბომბვა, 4 აგვისტომდე ქალაქს 101-ჯერ დაესხნენ თავს. ამ დროის განმავლობაში ჩამოყარეს 2.208 ფუგასური ბომბი და 250 შრაპნელიანი ბომბი, რომლებმაც სიკვდილი მოუტანეს მშვიდობიან მცხოვრებლებს.

წითელი მდინარის დელტის მოსახლეობისათვის, განაგრძობს ამერიკელი იურისტი, ჯებრიები მთელი ცხოვრების საფუძველია. თუ ჯებრიები ვერ გაუძლებენ, დაიღუპება მთელი მოსავალი. თუ გადმოხეთქავს ზღვის წყალი, რამდენიმე წლის განმავლობაში მიწას გამოაყენება აღარ შეიძლება.

„ლანის რაბი, — ნათქვამია სტატიაში, — მეთაური ჰიდრონაგებობაა, მასზე დამოკიდებულია 48 ათასი აკრი მიწის მდგომარეობა რაიონში, რომელშიც 600 ათასი კაცი ცხოვრობს. როცა ეს რაბი ვნახე 3 აგვისტოს, მას ორმოცი ბომბი ჰქონდა გარშემორტყმული ბომბების აფეთქებათა გამო. ბეტონი ძლიერ იყო დაზიანებული. დანაშენი და ფოლადის ფერმები, სამოტორო შენობა, ამწეები და „ბეკეი დანგრეული იყო“, — ხაუს უსვამს კლარკი.

ბონი ღაღადებენ დოკუმენტები

25 აგვისტო. (ხაკდესი). დასავლეთ გერმანიაში მახლობლად მიტლერული ყოფილი საკონცენტრაციო ბანაკის ტერიტორიაზე დღეს გაიხსნა გამოფენა „სპორტსმენები წინააღმდეგობის ანტიფაშისტურ მოძრაობაში“. აქვეა მეორე გამოფენა „ანტიფაშისტური მოძრაობა 1941-1945 წლებში“.

ათობით სტენდზე წარმოდგენილია ფოტოსურათები და დოკუმენტები, რომლებიც ეძღვნება გერმანელ სპორტსმენთა ბრძოლას ჰიტლერული რეჟიმის წინააღმდეგ, მათს მონაწილეობას ანტიფაშისტურ არალეგალურ მოძრაობაში. მასალები, მოგვითხრობენ ნაციისტური რეჟიმის მიერ გერმანიის მუშათა სპორტული მოძრაობის დარბევის შესახებ.

გამოფენის დამთვალიერებლები დიდ ინტერესს იჩენენ ბიოგრაფიული მასალებისადმი მსოფლიოში სახელმოხვეჭილი ისეთი სპორტსმენების შესახებ, როგორიცაა ბერლინის 1936 წლის ოლიმპიადის მონაწილე მოჭიდავე გერნერ ზეელენბინდერი, მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ველოსპორტში ალბერტ რიპერი, მოჭიდაველები გერმან და იულიუს ბარუჭები და მრავალი სხვა.

გაუშვებელია აგრეთვე იმ მთელი რიგი უცხოელი სპორტსმენების ცხოვრება, რომელნიც თაშიზმის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

ახალი ხაფანგი

25 აგვისტოს ოფიციალურად გახსნა პირდაპირი რადიოსატელეფონო კავშირგაბმულობა მოსკოვსა და მოგადიშოს შორის.

ტელეფონით ერთმანეთს მიესალმნენ სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე ვ. ა. შამშინი და სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის ფოსტებისა და ტელეგრაფის სახელმწიფო მდივანი აპშიდ მოჰამედ ფარა. მათ აღნიშნეს, რომ ახალი საერთაშორისო ხაი დიდი წვლილი იქნება ურთიერთკონტაქტების განვითარებასა და განმტკიცებაში.

(ხაკდესი).

მიუნხენი — კონტრასტების ქალაქი

უცხოელი პუბლიცისტები „კომუნისტის“ ფურცლებზე

26 აგვისტოს მიუნხენში იხსნება XX ოლიმპიური თამაშები. ახალი ამბების საგანგებო ჟურნალისტებს სთავაზობს პოლონელი პუბლიცისტის იან ბოშენსკის სტატიას. ავტორი ამას წინათ იყო ბავარიის დედაქალაქში.

ეს ლამაზი, მაგრამ ამასთან ერთად უცნაური ქალაქი. მის მუზეუმებს რომ ათვალიერებ, ეტყვევი — რატომ იყო, რომ შესანიშნავი მხატვრები პოლონეთიდან აქ ჩამოდიოდნენ XIX საუკუნეში ფერწერის მიუნხენური სკოლის შესასწავლად. მრავალ ღირსშესანიშნაობათა შორის ტურისტს აუცილებლად უჩვენებენ გერმანულ მუზეუმს — მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს მუზეუმს ტექნიკისას, რომელსაც მდიდარი სპეციალური ბიბლიოთეკა აქვს. ხოლო პარკში რომ შეიხედავ, რომელსაც ინგლისური ეწოდება, დაინახავ რადიოსადგურ „თავისუფალი ევროპის“ ღობეშემოგლებულ კორპუსებს (ათას ხუთასამდე თანამშრომელი, მათ შორის პოლიტიკური ემიგრანტები 30 ქვეყნიდან). ქალაქის მდიდარ რაიონ არაბელაში „ცივი ომის“ კიდევ ერთი რელექტორადიოსადგური „თავისუფლება“.

მიუნხენის გაზეთი „აბენდციტუნგი“ წერდა: „20 წელზე მეტია მიუნხენი ითმენს იმ გარემოებას, რომ იგი გადაქცეულ სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ იატაკქვეშა მოძრაობის დედაქალაქად. ქალაქის სატელეფონო წიგნში აღნიშნულია 200 ძველ რევანშისტული და ემიგრანტული ანტიკომუნისტური ორგანიზაციის ტელეფონები. მათ შორის არის ავრეთვე ცენტრი, რომელიც შექმნილია 1967 წელს ევრობაში ანტიკომუნისტური საქმიანობას კოორდინაციისა და ინტენსიფიკაციისთვის.

მიუნხენმა, რომელიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მსხვილი სამეცნიერო-პედაგოგიური ცენტრია, ამავე დროს მეიკედლა 10 ცრუმეცნიერული ინსტიტუტი, რომელსაც რევანშისტული ორგანიზაციები ინახავენ. ეს ინსტიტუტები იმეშავებენ საქმიანობის მიმართულებას თავიანთი ფფარველებისათვის, აგროვებენ ინფორმაციას „გერმანიის ყოფილ აღმოსავლეთის მიწებზე მდგომარეობის“ შესახებ. ბავარიის დედაქალაქის ახლოს — პულახში — დამკვიდრდა ბუნდესანარიხტენდინსტი, რომელიც ნატოს უდიდესი „საშუშური ორგანიზაციაა დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს შემდეგ. იქ მსახურობს 5500 თანამშრომელი, 12 ათასი აგენტი. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საზღვარგარეთის ბუნდესნარიხტენდინ ნ ს ტ ს აქვს 102 ფილიალი და 73 საიდუმლო რეზიდენტია ყველა კონტინენტზე.

ომისშემდგომ წლებში არსებითად შეიცვალა ბავარიის ეკონომიური სახე. ეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყველაზე სასოფლო-სამეურნეო რაიონი იარაღის უდიდეს სამეკედლოდ გადაიქცა. ბავარიამ მეორე ადგილზე დაიჭირა რურის აუზს. შეიარაღების დაკვეთები, რომლებსაც იგი ახლა იღებს, ერთიორად აღემატება რურის საწარმოების დაკვეთებს.

„ბავარიის თავისუფალ სახელმწიფოში“ (ოფიციალური სახელწოდება) ხელისუფლების სათავეში უკვე მრავალი წელიწადია დგას 1946 წელს შექმნილი ქრისტიანულ-სოციალური კავშირი. მისი პოლიტიკური გვარტომობა საყოველთაოდ ცნობილია, ისევე, როგორც ცნობილია ავრეთვე მისი როლი გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის — თავისუფალი დემოკრატიული პარტიის დასავლეთ გერმანიის კოალიციური მთავრობის ალმოსავლეთის პოლიტიკის მთავარი, ყველაზე აქტიური მოწინააღმდეგისა. შტრაუსის პარტიას მნიშვნელოვანი უმრავლესობა აქვს ბავარიის ლანდტაგში, ქრისტიანულ-სოციალისტურ კავშირს მხარს უჭერენ უწინარეს ყოვლისა ამმრჩეველები აგრარული პროვინციებიდან.

ბავარიის დიდ ქალაქებში პოლიტიკური ვითარება სხვანაირად გამოიყურება. იქ უფრო ძლიერია გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია. სოციალ-დემოკრატების ხელში, მაგალითად, უკვე 12 წელიწადია იმყოფება მიუნხენის მაგისტრატი, მაგრამ ბავარიელი სოციალ-დემოკრატები (გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია იქ 122 ათას კაცს ითვლის) ჯერჯერობით ისე ძლიერი არ არიან, რომ ჩაფუშონ ქრისტიანულ-სოციალისტური კავშირის პოზიციები. პრაქტიკულად გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციათა ერთიან მთელს არ წარმოადგენდა. იგი გაყოფილი იყო სამ საოლქო პარტიულ ორგანიზაციად, რომლებიც ერთმანეთისაგან თითქმის დამოუკიდებლები იყვნენ. ასეთი მდგომარეობა მინიმალურს ხდიდა მის შანსებს ქრისტიანულ-სოციალისტურ კავშირთან ჰოლიტიკურ კონფრონტაციაში.

ბავარიის სოციალ-დემოკრატების უკანასკნელმა საგანგებო ყრილობამ მიიღო თავისი წესდების დიდმნიშვნელოვანი შესწორება, რომელმაც ბავარიის სოციალ-დემოკრატიული პარტია დამოუკიდებელ სამხარეო ორგანიზაციად აღიარა. ამავე ყრილობაზე ხმების 82 პროცენტით მის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მიუნხენის ყოფილი ობერ-ბურგომეისტერი გ. ფოგელი. იგი 12 წელიწადს ედგა სათავეში მიუნხენის მაგისტრატს, პოპულარულია, ცნობილია ბავარიის ფარგლებს გარეთაც. ფოგელს — ცენტრისტულ პოლიტიკოსს — გაზნარახული აქვს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბავარიის ორგანიზაციის გარშემო გაერთიანოს ყველა მისი წევრი და თანამგრძნობი, ხოლო უფრო შორეულ პერსპექტივაში — გადაჭრით დაუპირისპიროს იგი ქრისტიანულ-სოციალისტურ კავშირს. ამ აზრით პოლიტიკური მიმომხილველები, მიმდინარეობენ, ყველაზე თანაგრძნობით განწყობილნიკ კი ფოგელისადმი, სკეპტიკურად აფასებენ მის შანსებს უახლოეს წლებში და არც თუ ოსაფოძვლოდ თოგელი ბავარიის ორგანიზაციას არახელსაყრელ პირობებში ჩაუდგა სათავეში. ყრილობის შემდეგ მალე მოხდა განხეთქილება: გ. მიულერმა დააარსა პარტია „სოციალური დემოკრატია-72“, რომელსაც მხარი დაუჭირეს მემარჯვენე კურსის მომხრეებმა. მეორე მხრივ, ფოგელს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული

საფუძვლიანი არგუმენტის უქონლად

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ხელს უშლის ბანგლადეშის მიღებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

ნიუ-იორკი. 25 აგვისტო. (საკდესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლის ობსტრუქციონისტური პოზიციის გამო უშიშროების საბჭოს კვლავ გადადო ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის, ანუ ძველ ბენგალიის, მიღების საკითხის განხილვის ჩაშლის ტაქტიკას. იგი კვლავ თავს დაესხა პეკინისათვის არასასურველი ახალგაზრდა რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკას და სცადა შეიცვალა საერთოდ დისკუსიის საკითხი.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლის პოზიციას საკადრისი პასუხი გასცა სხდომის მონაწილეთა უმრავლესობამ.

ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკა მთლიანად აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, რომელსაც ეგერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება უყენებს ამ ორგანიზაციაში შესვლის მსურველ ყოველ სახელმწიფოს. განაცხადა, კერძოდ, ინდოეთის წარმომადგენლმა ს. სენმა. ახორციელებს რა მიუშსრობრობისა და თანამშრომლობის პოლიტიკას, ბანგლადეში ხსრ კავშირის წარმომადგენელმა ვ. ლ. ისრაელიანმა, ბანგლადეში ხელს უწყობს მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებას და შეუძლია არსებითი წვლილი შეიტანოს თვით ეგერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობაში.

იმ ჩინის პირობებში, რომელიც შექმნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მიერ ვეტოს გამოყენების საფრთხის გამო, უშიშროების საბჭომ გადაწყვიტა კენჭისყრა გადადოს შემდეგ სხდომამდე, რომელიც დღეს გაიმართება.

ტოკიო

ღაღადებენ დოკუმენტები

25 აგვისტო. (ხაკდესი). დასავლეთ გერმანიაში მახლობლად მიტლერული ყოფილი საკონცენტრაციო ბანაკის ტერიტორიაზე დღეს გაიხსნა გამოფენა „სპორტსმენები წინააღმდეგობის ანტიფაშისტურ მოძრაობაში“. აქვეა მეორე გამოფენა „ანტიფაშისტური მოძრაობა 1941-1945 წლებში“.

ათობით სტენდზე წარმოდგენილია ფოტოსურათები და დოკუმენტები, რომლებიც ეძღვნება გერმანელ სპორტსმენთა ბრძოლას ჰიტლერული რეჟიმის წინააღმდეგ, მათს მონაწილეობას ანტიფაშისტურ არალეგალურ მოძრაობაში. მასალები, მოგვითხრობენ ნაციისტური რეჟიმის მიერ გერმანიის მუშათა სპორტული მოძრაობის დარბევის შესახებ.

გამოფენის დამთვალიერებლები დიდ ინტერესს იჩენენ ბიოგრაფიული მასალებისადმი მსოფლიოში სახელმოხვეჭილი ისეთი სპორტსმენების შესახებ, როგორიცაა ბერლინის 1936 წლის ოლიმპიადის მონაწილე მოჭიდავე გერნერ ზეელენბინდერი, მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ველოსპორტში ალბერტ რიპერი, მოჭიდაველები გერმან და იულიუს ბარუჭები და მრავალი სხვა.

გაუშვებელია აგრეთვე იმ მთელი რიგი უცხოელი სპორტსმენების ცხოვრება, რომელნიც თაშიზმის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

ფინეთის პროფკავშირული მოღვაწეები საქართველოში

საკავშირო პროფსაბჭოს მოწვეული საბჭოთა კავშირში სტუმრად არის ფინეთის პროფკავშირულ მოღვაწეთა დელეგაცია. 25 აგვისტოს დელეგაცია თბილისში ჩამოვიდა.

საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ო. ცანავამ მიიღო სტუმრები. მიღებაზე ფინეთის მხრივ იყვნენ დელეგაციის ხელმძღვანელი, ფინეთის პროფკავშირთა ცენტრალური ორგანიზაციის ეკონომიური განყოფილების მუშაკი, ფინეთის პროფკავშირთა ცენტრალური ორგანიზაციის თვალსაზრისის შემუშავების სპეციალისტი პოლიტიკურ-ეკონომიურ საკითხებში პეკა შორი, ფინეთის პროფკავშირთა ცენტრალური ორგანიზაციის ეკონომიური კვლევის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, საგარეო კავშირების საკითხთა სპეციალისტი ანტერო ტუომინენი, ხელფასის ფასებისა და შემოსავლის საკითხთა სპეციალისტი ისმო ლუიმოლა, შემოსავლის პოლიტიკის საკითხთა სპეციალისტი სეპო კიუკანენი.

ამხ. ო. ცანავამ ილაპარაკა საქართველოს პროფესიულ კავშირებზე, საბჭოთა ხელისუფლების წლებში ეკონომიკის, კულტურის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში რესპუბლიკის წარმატებებზე.

ფინეთის პროფკავშირულმა მოღვაწეებმა ბევრი რამ გამოიკითხეს. ისინი დაინტერესდნენ პროფკავშირთა, მათი ცენტრალური და რესპუბლიკური აპარატის სტრუქტურის, პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციების რაოდენობრივი შემადგენლობისა და საქმიანობის, სოციალური დაზღვევის, შრომისა და ხელფასის საკითხებთან. ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხი გასცეს საქართველოს პროფსაბჭოს თანამშრომლებმა: შრომის დაცვის განყოფილების გამგემ ი. ვადოვმა, სოციალური დაზღვევის განყოფილების გამგემ გ. ფერაძემ, შრომისა და ხელფასის განყოფილების გამგის მოადგილემ და ინსტრუქტორმა ნ. ნუკუბიძემ და რ. გუგუშვილმა.

იმავე დღეს ფინეთის პროფკავშირული მოღვაწენი იყვნენ თბილისის დიდ სამრეწველო საწარმოებში — შამპანური ღვინოების ჭარხანაში და ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხანაში. ისინი აქ შეხვდნენ ამ საწარმოთა კოლექტივებს, ბევრნენ პროფკავშირთა საქართველო კომიტეტების საქმიანობას.

საქართველოში ფინეთის პროფკავშირული მოღვაწეების ყოფნის პროგრამაშია თბილისისა და მისი შემოგარენის გაცნობა.

27 აგვისტოს სტუმრები ვოლგოგრადში გაფრინდებიან.

(ხაქინფორმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლონისძიებანი

დასასვლეთ გერმანიის ხელისუფალნი ძალულებული არიან საგანგებო ღონისძიებებს მიმართონ რაინის ბაბინძურების წინააღმდეგ ხანძრთან ერთად.

ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარის ხალხური ხაქმეთა სამინისტროს განკარგულებაში, რაინის გაყოლებით ხაპატრულო ხამსახურს ეწევიან ხპეციალური ვერტმფრინავები. ისინი აღჭურვილი არიან ფოტოკამერებით, რომლებიც დოკუმენტურად აღრიცხავენ დამრღვევებს.

გემებისა და ხამრეწველო ნაწარმოების ბევრი მფლობელი სარგებლობს ხიბნელით, რათა მდინარეში გადაყაროს ნარჩენები. ამიტომ ხელისუფლებამ გადაწყვიტეს ღამით გამოიყენონ ხაპატრულო პოლიციური კატარღები.

1972 წლის პირველ ნახევარში ამ მხარის შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკვე მიიღო 98 ხარისკავი რაინის წყლის გაბინძურების შემთხვევის გამო.

მტვერი ქუჩებში

16 კილოგრამამდე მტვერი ედება წელიწადში ვენის ყოველ 100 კვადრატულ მეტრ ფართობს.

ასეთია ავსტრიის მეტეოროლოგიისა და გეოდინამიკის ცენტრალური უწყების მიერ მოწყობილი კვლევის მონაცემები. ამ მხრივ თავისებური „რეკორდი“ მიეკუთვნება ვენის ბალპაუსკლაცას მოედანს, რომელიც ქალაქის ცენტრში მდებარეობს.

აქ დამტვერიანება შეადგენს 16.6 კილოგრამს 100 კვადრატულ მეტრზე წელიწადში. გარეუბნებშიც კი, მწვანე ზონაში, მტვრის რაოდენობა თითქმის 8 კილოგრამამ აღწევს წელიწადში.

უკეთ როდია საქმე სხვა დიდ ქალაქებში: ლინცში — 15 კილოგრამი წელიწადში, კლაგენფურტში — 13 კილოგრამზე მეტი, ინსბურკში — 11.5 კილოგრამი. ყველაზე სუფთა ჰაერია აიზენშტადტში — 1.1 კილოგრამი მტვერი წელიწადში და ბრეგენცში — სულ 0,4 კილოგრამი.

ტყის ხანძრები

ამერიკის შეერთებულ შტატებში შარშანდელმა ტყის ხანძრებმა მოსპეს და დააზიანეს ტყეები 1.100 ათას ჰექტარ ფართობზე.

ყველაზე მეტი ზარალი მოუვიდა ტყეებს ალასკასა და ფლორიდის შტატში, სადაც შარშან ყველაზე ძლიერი ხანძრები მოხდა ამ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში.

როგორც აღნიშნავენ, ხანძრების მთავარი მიზეზი იყო გაუფრთხილებლობა ან გულგრილობა.

რთული პრობლემა

იტალიაში მწვავე „ელექტროშიმშილია“. ელექტროენერგიის წარმოება ქვეყანაში ამჟამად ჩამორჩება მოხმარების საჭიროებებს და ელექტროენერგიის ეროვნული სამმართველოს ხელმძღვანელები შეშფოთებულნი ელიან ზამთრის თვეებს, როცა, მათი სიტყვით, საჭირო გახდება მოსახლეობისა და მრეწველობისათვის ელექტრობის მიწოდების ლიმიტირება.

სამმართველოს გენერალური დირექტორის ა. მ. ანჯელინის აღიარებით, იტალია უკვე შარშან განიცდიდა გარკვეულ სიძნელეებს ამ დარგში და მათ თავი დაადწია მხოლოდ დასავლეთი ევროპის მეზობელი ქვეყნებიდან ელექტროენერგიის იმპორტის ხარჯზე. მაგრამ წელს საქმე ეხება უკვე ნამდვილ კრიზისს.

ადგილობრივი პრესის ფურცლებზე ხაკმაოდ ქვეყნდება კრიტიკული შენიშვნები მთავრობისა და ელექტროენერგიის ეროვნული სამმართველოს მიმართ, მათ ბრალად დებენ, რომ მოუშობენ ენერგეტიკის განვითარების მეცნიერული გეგმის უქონლად, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა ქვეყნის რეალური მოთხოვნილებანი. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, მარტო ატომური ენერგეტიკის დარგში იტალია სულ ცოტა ორი ათეული წლით ჩამორჩება მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს. მაგრამ ეს ღრმა და რთული პრობლემები რამდენიმე თვეში ვერ გადაიჭრება. მალე დადგება შემოდგომა, არც ზამთარია შორს... შვეიცარიის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და აღმოსავლეთ ევროპის ბალკანეთის ქვეყნებმა კი პრაქტიკულად უკვე ამოიწურა.

სტატისტიკას თუ დავუჯერებთ

სტატისტიკას თუ დავუჯერებთ, შვედეთს მტკიცედ უკავია პირველი ადგილი მსოფლიოში ყავის მოხმარებით. ყოველი შვედი წელიწადში საშუალოდ ხმარობს 10 კილოგრამ ყავას.

ამ ბოლო დროს მათ თითქმის ტოლს არ უდებენ დანიელები, ნორვეგიელები და ფინელები. ერთ სულ მოსახლეზე მოხმარებული ყავის რაოდენობით, აღნიშნავს შვეიცის დეპეშათა ბიურო, შვედებმა ათჯერ გადააჭარბეს ინგლისელებს და ხუთჯერ — ამერიკელებს.

„კომუნისტი“ — ხაკდესი.



იაპონიის მშრომელები მხარს უჭერენ ვიეტნამელი ხალხის გმირულ ბრძოლას. მიტინგებზე ისინი პროტესტს გამოთქვამენ იაპონიის ტერიტორიაზე განლაგებული ამერიკის სამხედრო ბაზების ბინძურ ომში გამოყენების წინააღმდეგ. იაპონელები მოითხოვენ გადამწყვეტ ზომებს მთავრობისაგან.

ხურათზე: ოოკოჰამის ნავსადგურის მუშები უარს ამბობენ დატვირთონ სამხრეთ ვიეტნამში გასაგზავნი იარაღი. პლაკატებზე წერია „ჩვენ ვიეტნამის ომის წინააღმდეგი ვართ!“

ჯაპან პრეს — საკდესის ფოტო.

ნიუ-იორკი რ. კლარკი: ყველაფერი ჩემი თვალით ვნახე

25 აგვისტო. (ხაკდესი). „ამერიკის შეერთებული შტატების ბომბები ანგრევენ საავადმყოფოებს, სკოლებს, ეკლესიებს. ისინი ზოცავენ მოხუცებს, ქალებს ბავშვებს. ჩვენ ვამბობთ, თითქოს გამოგვყავს იქიდან ჯარისკაცები და ვკვეცავთ ომს, ამავე დროს განვაგრძობთ დაბომბვას. მაგრამ დაბომბვით ვერ დავამორჩილებთ ხალხს“.

წერს ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი იუსტიციის მინისტრი რ. კლარკი სტატიაში „რა ვნახე და რა მოვისმინე ჩრდილოეთ ვიეტნამში“, რომელიც ჟურნალ „ლიფშიცა“ გამოქვეყნებული.

კლარკი ამას წინათ იყო ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო დანაშაულთა გამოძიების საერთაშორისო კომისიის შემადგენლობაში და შემდეგ ამერიკელებს უამბო სიმართლე ბარბაროსული დაბომბვების შესახებ. ამის გამო ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წერილობითი ბრძანება გაუგზავნა კლარკს დევნა, დითქმის ღალატიც კი დააბრალეს.

ჩრდილოეთ ვიეტნამში მე ვნახე ნგრევა სოფლებსა და ქალაქებში. ვნახე დაზიანებული ეკლესიები, რაბები. საავადმყოფოები და ეკლესიები, წერს კლარკი. და ეს მხოლოდ დაზიანებათა მცირე ნაწილია რაიონებში, რომლებსაც ვეწვეთ. გაცილებით მძიმე ნგრევა ეკა ქვეყნის სამხრეთ ნაწილში.

ჰაიფონში, წერს კლარკი, განმიცხადეს, რომ 16 აპრილიდან, როცა განახლდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მასირებული დაბომბვა, 4 აგვისტომდე ქალაქს 101-ჯერ დაესხნენ თავს. ამ დროის განმავლობაში ჩამოყარეს 2.208 ფუგასური ბომბი და 250 შრაპნელიანი ბომბი, რომლებმაც სიკვდილი მოუტანეს მშვიდობიან მცხოვრებლებს.

წითელი მდინარის დელტის მოსახლეობისათვის, განაგრძობს ამერიკელი იურისტი, ჯებრიები მთელი ცხოვრების საფუძველია. თუ ჯებრიები ვერ გაუძლებენ, დაიღუპება მთელი მოსავალი. თუ გადმოხეთქავს ზღვის წყალი, რამდენიმე წლის განმავლობაში მიწას გამოაყენება აღარ შეიძლება.

„ლანის რაბი, — ნათქვამია სტატიაში, — მეთაური ჰიდრონაგებობაა, მასზე დამოკიდებულია 48 ათასი აკრი მიწის მდგომარეობა რაიონში, რომელშიც 600 ათასი კაცი ცხოვრობს. როცა ეს რაბი ვნახე 3 აგვისტოს, მას ორმოცი ბომბი ჰქონდა გარშემორტყმული ბომბების აფეთქებათა გამო. ბეტონი ძლიერ იყო დაზიანებული. დანაშენი და ფოლადის ფერმები, სამოტორო შენობა, ამწეები და „ბეკეი“ დანგრეული იყო“, — ხაუს უსვამს კლარკი.

თავდასხმას ხომ არ ამზადებენ?

**ნიუ-იორკი. 25 აგვისტო. (საკდესი). წინა კვირაში ორი შეიარაღებული არამზადა დაეკავა პოლიციამ ქალაქ სენტ-ლუისში (მისურის შტატი)

München–72

სტარტზეა მსოფლიო სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცი წლის შემდეგ

მიუნხენის სტადიონის უზარმაზარ ჯამში დღეს საბერძნეთიდან ჩამოტანილი ჩირაღდნიდან ოლიმპიური ცეცხლი აგიზგიზდება, გაიშლება ხუთრგოლიანი ქათქათა დროშა, ფანფარები ყურადღებას მოითხოვენ და სიჩუმეში სპორტსმენი — თამაშების მასპინძელი ქალაქის წარმომადგენელი — ოლიმპიური ფიცის სიტყვებს წარმოთქვამს.

სპორტის ეს გრანდიოზული ზეიმი, რომელსაც მღელვარებით ადევნებს თვალს ოლიმპიური სტადიონის ტრიბუნებიდან 80.000 მაყურებელი, ცისფერი ტელეეკრანებიდან კი 800 მილიონი ადამიანი, დაიწყება, როდესაც XX ოლიმპიადის დედაქალაქში 15.00 საათი იქნება, ხოლო თბილისში — 18.00 საათი.

მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის საუკეთესო წარმომადგენლები — თანამედროვე სპორტის ჭეშმარიტი რაინდები, სარბენი ბილიკების, კალათბურთის ფარებისა და ველოტრეკის ბეტონის ოატატები გაძოვლენ სტარტზე, რათა შეერკინონ ერთმანეთს ღიპ და პატიოსან ბრძოლაში, განამტკიცონ მეგობრობა და სიცოცხლე მეოცე საუკუნის მიწაზე.

ჩვენმა სახელოვანმა სპორტსმენებმა — საუკეთესოებმა საუკეთესოთა შორის მოიპოვეს უფლება იასპარეზონ შორეულ მიუნხენში, კიდევ უფრო გაუთქვან სახელი ჩვენს სპორტს.

ოქროს 195, ამდენივე ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი გათამაშდება XX ოლიმპიადაზე. უძლიერეს სპორტსმენთა ათეულები აცხადებენ პრეტენზიას თვითეულ მათგანზე. უკანასკნელი პერიოდის სპორტული შედეგები, ნაჩვენები მსოფლიოს მრავალ სტადიონზე, სპორტულ დარბაზსა თუ საცურავ აუზში, იმის პირობას იძლევა, რომ ბრძოლა არნახულად დაძაბული და საინტერესო იქნება.

ჰელსინკის, მელბურნის, რომის, ტოკიოს, მეხიკოა უზარმაზარ სტადიონებზე არაერთხელ ეღერდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი ჩვენი სპორტსმენების სახელოვან გამარჯვებათა აღსანიშნავად. გვჯერა, რომ ასეთსავე წარმატებას იზეიმებს საბჭოთა სპორტი მიუნხენის ოლიმპიადაზეც — ოცი წლის მანძილზე, რომელიც ჰელსინკის XV თამაშების შემდეგ იქნა გავლილი, ჩვენმა სპორტმა გრანდიოზულ გამარჯვებებს მიაღწია.

საქართველოს 18 ოლიმპიელი დაიცავს საბჭოთა ქვეყნის, ჩვენი სპორტული რესპუბლიკის სახელს შორეულ მიუნხენში.

ძმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი ოლიმპიელები წარმატებით იასპარეზებენ მიუნხენის სპორტულ სარბიელზე და შეეცდებიან არა მარტო გაიმეორონ, არამედ კიდეც გააუმჯობესონ მოპოვებული შედეგები.



სურათზე: ოლიმპიური სტადიონი.

თამაშების კალენდარი

ოლიმპიადის გახსნა — 26 აგვისტო
კალათბურთი — 27, 28, 29, 30 აგვისტო, 1, 2, 3, 5, 6, 7, 8, სეკტემბერი
კრივი — 27, 28, 29, 30, 31 აგვისტო, 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 9 სეკტემბერი
ჰიდაობა (თავისუფალი და კლასიკური) — 27, 28, 29, 30, 31 აგვისტო 5, 6, 7, 8, 9 სეკტემბერი
ჰიდაობა (ძიუ-დო) — 31 აგვისტო, 1, 2, 3, 4, 8 სეკტემბერი
ველოსპორტი — 29, 31, აგვისტო, 1, 2, 3, 4, 6 სეკტემბერი
ფრენაურთი — 27, 28, 29, 30, 31 აგვისტო, 1, 2, 3, 5, 6, 7, 8 სეკტემბერი
ტანვარჯიში — 27, 28, 29, 30, 31 აგვისტო, 1 სეკტემბერი
ნიჩბოსნობა — 27, 29, 31 აგვისტო, 1, 2 სეკტემბერი
ნიჩბოსნობა (კანოე) — 28, 30 აგვისტო, 5, 6, 7, 8 სეკტემბერი
ცხენოსნობა — 29, 30, 31 აგვისტო, 1, 3, 5, 6, 8, 10 სეკტემბერი
მძლეოსნობა — 31 აგვისტო 1, 2, 3, 4, 6, 7, 8, 9 სეკტემბერი
სპილენძნო სპორტი — 29, 30, 31 აგვისტო 1, 4, 5, 6 სეკტემბერი
ცურვა — 27, 28, 29, 30, 31 აგვისტო 1, 2, 3, 4 სეკტემბერი
ხელბურთი — 30 აგვისტო, 1, 3, 5, 6, 7, 8, 9 სეკტემბერი
თანამედროვე ხუთჭიდი — 27, 28, 29, 30, 31 აგვისტო
სროლა — 27, 28, 29, 30, 31 აგვისტო, 1, 2 სეკტემბერი
მშვილდოსნობა — 6, 7, 8, 8, 9 სეკტემბერი
ძალოსნობა — 27, 28, 29, 30, 31 აგვისტო, 2, 3, 4, 5 სეკტემბერი
ფარიკაობა — 29, 30, 31 აგვისტო, 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8 სეკტემბერი
ფეხბურთი — 27, 28, 29, 30, 31 აგვისტო, 1, 3, 5, 7, 9 სეკტემბერი
ბალანის ჭოკები — 27, 28, 29, 30, 31 აგვისტო, 1, 2, 3, 4, 6, 7, 8, 9 სეკტემბერი
ოლიმპიადის დახურვა — 10 სეკტემბერი

ზ. საკანდელიძე

მ. ქორქია

დ. შანიძე

ო. ფხაკაძე

თ. ლეკვეიშვილი

ვ. სანეევი

ზურაბ საკანდელიძე — *კალათბურთი* — სპორტის დამსახურებული ოსტატი. „დინამო" (თბილისი), დაიბადა 1945 წლის 9 აგვისტოს ქუთაისში, სიმაღლე 186 სმ., წონა 85 კგ. უმაღლესი განათლება. მასწავლებელი, თამაში დაიწყო 1956 წლიდან. საკავშირო ნაკრებში გამოდის 1965 წ., ევროპის 1964 წ. ჩემპიონი იუნიორთა შორის, ევროპის 1965, 1967, 1969, 1971 წ.წ. ჩემპიონი, მსოფლიოს 1967 წ. ჩემპიონი, მსოფლიოს 1970 წ. ჩემპიონატისა და XIX ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი. მწვრთნელი — ო. ქორქია.

შიხეილ ქორქია — *კალათბურთი* — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, „დინამო" (თბილისი), დაიბადა 1948 წლის 10 სექტემბერს ქუთაისში, სიმაღლე 196 სმ., წონა 90 კგ., საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი. თამაში დაიწყო 1960 წ., საკავშირო ნაკრებში გამოდის 1969 წ., სსრ კავშირის 1968 წ. ჩემპიონი, ევროპის 1966 წ. ჩემპიონი იუნიორთა შორის, ევროპის 1969 და 1971 წ.წ. ჩემპიონი. მწვრთნელი — ო. ქორქია.

დიმიტრი შანიძე — *ძალოსნობა* — სპორტის დამსახურებული ოსტატი, „განთიადი" (თბილისი), დაიბადა 1937 წლის 8 თებერვალს წყალტუბოს რაიონის სოფელ მექვენაში, სიმაღლე 158 სმ., წონა 60 კგ., საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი. ვარჯიში დაიწყო 1965 წ., საკავშირო ნაკრებში გამოდის 1967 წ., სსრ კავშირის 1969, 1970, 1972 წ.წ. და სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი ქვეყნებრივ წონაში, ევროპის 1972 წ. ჩემპიონი. მწვრთნელი — შ. ნერეთელი.

ომარ ფხაკაძე — *ველოსპორტი* (ტრეკი) — სპორტის დამსახურებული ოსტატი, „დინამო" (თბილისი), დაიბადა 1944 წლის 12 აგვისტოს ქუთაისში. სიმაღლე 183 სმ., წონა 90 კგ., საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი. ვარჯიში დაიწყო 1959 წ., საკავშირო ნაკრებში გამოდის 1962 წ., სსრ კავშირის 1963-1964, 1966-1970, 1972 წ.წ. ჩემპიონი, მსოფლიოს 1965 წ. ჩემპიონი სპრინტში. მწვრთნელი — გ. ჯოხაძე.

თინათინ ლეკვეიშვილი — *ცურვა* — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, „დინამო" (თბილისი), დაიბადა 1954 წლის 2 იანვარს თბილისში, სიმაღლე 169 სმ., წონა 59 კგ., თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი. ვარჯიშობს 1965 წ., საკავშირო ნაკრებში გამოდის 1968 წ., სსრ კავშირის 1968-1971 წ.წ. ჩემპიონი გულაღმა ცურვაში 100 მ., 1970-1972 წ.წ. ჩემპიონი 200 მ., ევროპის 1970 წ. ჩემპიონი 100 მ. მწვრთნელი — მ. ტატიშვილი.

ვ. ლოსაბერიძე



მ. ხურცილავა



რ. ძოძუაშვილი

ლ. თედიაშვილი

ჯ. მეგრელიშვილი



ბ. ონაშვილი



ბ. ნასყიდაშვილი

ჩვენი ოლიმპიელები

საქართველოს სპორტსმენები — სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდების წევრები

ვიქტორ სანეევი — *მძლეოსნობა* — სპორტის დამსახურებული ოსტატი, „დინამო" (თბილისი), დაიბადა 1945 წლის 3 ოქტომბერს სოხუმში, სიმაღლე 188 სმ., წონა 78 კგ. უმაღლესი განათლება, აგრონომი-სუბტროპიკოსი. ვარჯიშობს 1963 წ., საკავშირო ნაკრებში გამოდის 1967 წ., სსრ კავშირის 1968-1970 წ.წ. ჩემპიონი, სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი, ევროპის 1969 წ., ჩემპიონი, 1971 წ. ბრინჯაოს პრიზიორი, ევროპის 1970-72 წ.წ. ზამთრის ჩემპიონატების გამარჯვებული, XIX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი სამმაგ ხტომაში. ევროპის რეკორდსმენი. მწვრთნელები — ა. კერსელიანი, ვ. კრეერი.

ალეთეევან ლოსაბერიძე — *მშვილდოსნობა* — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, „ბურევესტნიკი" (ქუთაისი), დაიბადა 1949 წლის 1 აგვისტოს ტყიბულის რაიონის სოფელ კიროგში. სიმაღლე 161.5 სმ., წონა 70 კგ., უმაღლესი განათლება, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ლაბორანტი. ვარჯიშობს 1960 წ., საკავშირო ნაკრებში გამოდის 1972 წ., ევროპის 1972 წ. აბსოლუტური ჩემპიონი. მწვრთნელი — შ. ჯაშიაშვილი.

მურმან ხურცილავა — *ფეხბურთი* — სპორტის დამსახურებული ოსტატი, „დინამო" (თბილისი), დაიბადა 1943 წლის 5 იანვარს გეგეჭკორის რაიონის სოფელ ბანძაში, სიმაღლე 178 სმ., წონა 85 კგ., საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი. ვარჯიშობს 1956 წ., საკავშირო ნაკრებში გამოდის 1957 წ. მსოფლიოს VIII ჩემპიონატის ბრინჯაოსა და ევროპის 1972 წ. ვერცხლის პრიზიორი. მწვრთნელი — გ. კაჩალინი.

რევაზ ძოძუაშვილი — *ფეხბურთი* — სპორტის ოსტატი, „დინამო" (თბილისი), დაიბადა 1945 წლის 15 აპრილს ქუთაისში, სიმაღლე 175 სმ., წონა 73 კგ., საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი. ვარჯიშობს 1959 წ., საკავშირო ნაკრებში გამოდის 1969 წ., ევროპის 1972 წლის ვერცხლის პრიზიორი. მწვრთნელი — გ. კაჩალინი.

ლევან თედიაშვილი — *ჰიდაობა* (თავისუფალი სტილი) — სპორტის დამსახურებული ოსტატი, „განთიადი" (თბილისი), დაიბადა 1948 წლის 15 მარტს სიღნაღის რაიონის სოფელ ზემოუბანში, სიმაღლე 175 სმ., წონა 82 კგ., საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი. ვარჯიშობს 1964 წ., საკავშირო ნაკრებში გამოდის 1972 წ., სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის, სსრ კავშირისა და მსოფლიოს 1971 წ. ჩემპიონთა პირველ საშუალო წონაში. მწვრთნელი — ვ. ბალავაძე.

ჯემალ მეგრელიშვილი — *ჰიდაობა* (ბერძნულ-რომაული სტილი) — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, „ბურევესტნიკი" (თბილისი), დაიბადა 1949 წლის 1 აგვისტოს ტყიბულის რაიონის სოფელ კიროგში. სიმაღლე 161.5 სმ., წონა 70 კგ., უმაღლესი განათლება, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ლაბორანტი. ვარჯიშობს 1960 წ., საკავშირო ნაკრებში გამოდის 1972 წ., ევროპის 1972 წ. აბსოლუტური ჩემპიონი. მწვრთნელი — შ. ჯაშიაშვილი.

ბორის ონანაშვილი — *ჰიდაობა* (ძიუ-დო) — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, „ლოკომოტივი" (თბილისი), დაიბადა 1950 წლის 20 ოქტომბერს ონოსტარის რაიონის სოფელ გოგოლესუბანში, სიმაღლე 165 სმ., წონა 62 კგ., საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი. ვარჯიშობს 1964 წ., საკავშირო ნაკრებში გამოდის 1971 წ., სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი, ევროპის 1972 წ. ვერცხლის პრიზიორი. მწვრთნელი — ბ. მაზნიაშვილი.

ზურაბ ბოგოლაური — *ჰიდაობა* (ძიუ-დო) — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, „ბურევესტნიკი" (თბილისი), დაიბადა 1949 წლის 30 ივნისს ფოთში, სიმაღლე 181 სმ., წონა 84 კგ., სამხედრო მოსამსახურე, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი, ვარჯიშობს 1965 წ., საკავშირო ნაკრებში გამოდის 1971 წ., სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი ორადგილიანი ბაიდარით 10.000 მ. მწვრთნელი — ა. მატკავა.

ოლეგ კაფიანიძე — *ნიჩბოსნობა* (აკადემიური) სპორტის ოსტატი, „ბურევესტნიკი" (თბილისი), დაიბადა 1951 წლის 2 თებერვალს ადიგენის რაიონის სოფელ ჩელაში, სიმაღლე 190 სმ., წონა 88 კგ., საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი. ვარჯიშობს 1967 წ. მწვრთნელი — ა. ნიკოლაევი.

გიორგი ნასყიდაშვილი — *ნიჩბოსნობა* (სლალომი) — სპორტის ოსტატი, „ლოკომოტივი" (მცხეთა), დაიბადა 1947 წლის 16 აგვისტოს მცხეთაში, სიმაღლე 165 სმ., წონა 72 კგ., საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი. ბაიდარებით ნიჩბოსნობაში ვარჯიშობს 1963 წ., სლალომში — 1970 წლიდან. მწვრთნელი — გ. მარეხაშვილი.

გ. გოგოლაური

შ. ჩოჩიშვილი

ნ. დრონოვა



ვ. კრატაკიუსი

ო. კაფიანიძე

გ. ნასყიდაშვილი

ნინო დრონოვა — *ტანვარჯიში* (სპორტული) — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, „განთიადი" (თბილისი), დაიბადა 1958 წლის 13 იანვარს თბილისში, სიმაღლე 159 სმ., წონა 49 კგ., თბილისის 97-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე. ვარჯიშობს 1966 წ., საკავშირო ნაკრებში გამოდის 1972 წ., სსრ კავშირის ხალხთა 1971 წ. სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი იუნიორთა შორის. მწვრთნელები — ხ. ბურჯანაძე, ვ. კლიმოვა.

ვიქტორ კრატასიუკი — *ნიჩბოსნობა* (ბაიდარები) — სპორტის ოსტატი, არმიის სპორტული კლუბი (თბილისი), დაიბადა 1949 წლის 30 იანვარს ფოთში, სიმაღლე 181 სმ., წონა 84 კგ., სამხედრო მოსამსახურე, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი, ვარჯიშობს 1965 წ., საკავშირო ნაკრებში გამოდის 1971 წ., სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი ორადგილიანი ბაიდარით 10.000 მ. მწვრთნელი — ა. მატკავა.

ოლეგ კაფიანიძე — *ნიჩბოსნობა* (აკადემიური) სპორტის ოსტატი, „ბურევესტნიკი" (თბილისი), დაიბადა 1951 წლის 2 თებერვალს ადიგენის რაიონის სოფელ ჩელაში, სიმაღლე 190 სმ., წონა 88 კგ., საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი. ვარჯიშობს 1967 წ. მწვრთნელი — ა. ნიკოლაევი.

გიორგი ნასყიდაშვილი — *ნიჩბოსნობა* (სლალომი) — სპორტის ოსტატი, „ლოკომოტივი" (მცხეთა), დაიბადა 1947 წლის 16 აგვისტოს მცხეთაში, სიმაღლე 165 სმ., წონა 72 კგ., საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი. ბაიდარებით ნიჩბოსნობაში ვარჯიშობს 1963 წ., სლალომში — 1970 წლიდან. მწვრთნელი — გ. მარეხაშვილი.

ᲡᲐᲥᲐᲡᲬᲘ — ᲤᲘᲨᲔᲠᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲘ

რთულ პოზიციაში

რეიკიავიკი, 25 აგვისტო. (საკადესის სპეც. კორ. ა. ერმაკოვი). გადაიდო მსოფლიო პირველობაზე საჭადრაკო მატჩის მეთვრამეტე პარტია. მსოფლიო ჩემპიონმა, რომელიც შავებით თამაშობდა, ჩაიწერა თავისი ორმოცდამეორე სვლა. პრეტენდენტს ზედმეტი პაიკი აქვს.

პარტია ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობდა, მაგრამ თუ სასაკი თამაშს ამწვავებდა, ფიშერი, რომელიც, როგორც მიაჩნდათ, გაურბის ყიმებს, ამჯერად ცდილობდა თამაში ფრთხილად წარემართა. დებიუტშიც და მიტელშპილშიც იგი გამარტივებას ცდილობდა. რა თქმა უნდა, მისთვის — ლიდერისათვის, ახლა ქულის გაყოფა ხელსაყრელია.

სასაკმ პირველად დაიწყო აქტიური მოქმედება თეორიების მეფის წინააღმდეგ, რომელიც გრძელ მხარეს იყო როკირებული (შავების მეფე კი დფის ცენტრში დარჩა). მაგრამ ფიშერმა შეძლო იერიშის მოგერიება. მაშინ მსოფლიო ჩემპიონმა, რომელიც განაგრძობდა იერიშის ეზების ძიებას, შესთავაზა ხარისხის შეწირვა. ამერიკელმა გროსმაისტერმა არ მიიღო ეს შეწირვა, რადგან ეს დიდ უსიამოვნებას მოუტანდა. არ აიღო შემდეგ შეთავაზებული პაიკიც, ამჯობინა პაიკების გაცვლა დაფის ცენტრში.

მსოფლიო ჩემპიონი კვლავ დაძაბულ ვითარებას ქმნიდა დაფაზე, მაგრამ პრეტენდენტმა დაბვეწილი მანევრით მოიგერია მუქარა.

ასეა თუ ისე, რამდენიმე სვლის შემდეგ ფიშერმა ხელთ იგდო ინიციატივა და პაიკიც მოიგო. პარტია გადაიდო თეორიების 42 სვლის შემდეგ რთულ პოზიციაში.

XVII ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

ბ. ფიშერი — ბ. სპასკი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. ᲛᲤ3 d6 3. ᲛC3 ᲛC6 4. d4 cd 5. ᲛXd4 ᲛF6 6. g3

ადრე ფიშერმა ითამაშა g6. ეს ვარიანტი დამუშავებულია საბჭოთა ოსტატ ვსევოლოდ რაუზერის მიერ.

6... e6 7. ᲛD2 a6 8. 0-0-0 g7 9. f4 g7 10. ᲛF3 b5 11. g:f6 gf 12. g3 ᲚA5 13. ᲛXb1 b4

მსოფლიოს ჩემპიონი იწყებს აქტიურ მოქმედებას. მას სურს დაუყოვნებლივ დალაშქროს მოწინააღმდეგის მეფე.

14. ᲛE2 ᲚC5 15. f5

პრეტენდენტი კონტრთამაშს იწყებს მეორე ფლანგზე.

15... a5 16. ᲛF4 a4 17. c:c1 ᲫB8 18. c3 b3 19. a3 ᲛE5 20. ᲫHf1 ᲛC4 21. g:c4 Ln:c4 22. ᲫCe1 ᲛXd8

ვინაიდან შავების მეფეს რიგი არ გაუკეთებია სასაკის იგი უფრო უსაფრთხო ადგილზე გადაპყავს. მანეური მეტად საპასუხისმგებლოა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონმა მას კარგად გაართვა თავი.

23. ᲛXa1 ᲫB5 24. ᲛD4 ᲫA5 25. ᲛD3 ᲛXc7 26. ᲛB4 h5 27. g3 ᲫC5 28. ᲛD3 ᲫB8

როგორც ეზიდავთ, სასაკი ხარისხს სხვავზობს მეტოქეს, მაგრამ ამერიკელი გროსმაისტერი უარს ამბობს მის აღებაზე ეს გასაგებიც არის: შემდეგში მსოფლიოს ჩემპიონი ეკუს სწორაკად ამ-ზე და ისეი მრისხანე შეტევას ინიციირებდა თეორიების მეფეზე.

29. Ln2 ᲫA5 30. f:e f:e 31. g:f ᲫC5 32. ᲛF5 g:f5 33. ᲫF5 d5 34. e:d Ln:d5

როგორც ეჩსპერტები თვლიან, უფრო ძლიერი იქნებოდა 34... ᲫD8

35. ᲛB4 Ln:d7 36. ᲫH5

პრეტენდენტი ერთი ნაბიჯით გაბედულად იღებს პაიკს და ეტლს აშორებს სამოქმედო თეატრს, მაგრამ ზედმეტი პაიკი მომავალში შეიძლება თეორიების მთავარი კოზირი გახდეს.

36... g:b4 37. cb ᲫD5 38. ᲫC1+ ᲛXb7 39. Ln:e4 ᲫC8 40. ᲫB1 ᲛXb6 41. ᲫH7 ᲫD4 42. Ln:g6

ამ მდგომარეობაში პარტია გადიდეთ. სასაკმ თავისი მორიგი სვლა ჩაიწერა.

ᲕᲐᲚᲘᲐ ᲛᲔᲗᲕᲠᲐᲛᲔᲣᲚᲘ

რეიკიავიკი. გუშინ დამთავრდა მსოფლიო პირველობაზე ბორის სასაკი-რობერტ ფიშერის მატჩის მეთვრამეტე პარტია, რომელიც რთულ, ორმხრივი შესაძლებლობების პოზიციაში იყო გადადებული. მეტოქეებმა ხუთ-ხუთი სვლა გააკეთეს და 48-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად მატჩის ანგარიში გახდა 10,5:7,5 პრეტენდენტის სასარგებლოდ. მორიგი, მე-19 პარტია უნდა გაიმართოს კვირას, თეორიით თამაშობს მსოფლიოს ჩემპიონი.

სპორტული ამბები

ჩოგბურთი. დევისის თასის ფინალი, რომელშიც ერთმანეთს ებღაუბიან ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუმინეთის გუნდები, გაიმართება 13-15 ოქტომბერს უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში.

საბჭოთა ჩოგბურთელები წარმატებით გამოდიან პოლონეთის ღია ჩემპიონატზე. ქალთა ერთეული თანრიგის ნახევარფინალში გავიდა კეუ პარმასი, რომელმაც დაამარცხა უნგრელი ველი (6:3, 6:4), ხოლო ვიუებში — თომას ლეიუსი და პეტერ ლამპი, რომლებმაც დაამარცხეს პოლონელები ნეძვედსკი (6:1, 6:0) და რიბარჩიკი (2:6, 6:1, 6:4). ნახევარფინალში გავიდა ავრეთვე ჩეხოსლოვაკიელი შეეჩიკი, რომელმაც სძლია ევროპის ჩემპიონს უნგრელ ბარანიის — 2:6, 7:5, 6:3.

ფეხბურთი. ერევნის „არარატი" ბულგარეთს ეწვია და პირველი შეხვედრა ჰქონდა სოფიის „აკადემიკოთან". გაიმარჯვეს მასპინძლებმა 3:1. სტუმართაგან ბერთი გაიტანა ბონდარენკომ.



ბ. ნინოშვილი



ბ. ბერიძე



ბ. ბაბალიაშვილი